ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4343513

ნომერი: AR1655021

თარიღი : 13.01.2019

გაცემის თარიღი : 21.01.2019

გაცნობის თარიღი : 21.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავი , N 1 , (ნაკვეთი N36/88);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნადირაძე პ/ნ 01024017910
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 29 ბ. 68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 13

იანვარს NAR1655021 განცხადებით მომართა ზურაბ ნადირაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ერისთავის ქუჩა, N1, (ნაკვეთი N36/88), შპს "გალერეა დიდუბე"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.088) საგამოფენო–სავაჭრო ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 31 დეკემბრის №4319307 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საოფისე ფართობის - 1918.9 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1918.6 კვ.მ.-ის, კომერციული ფართობის - 2245.2 კვ.მ.-ის ნაცვლად - 2231.7 კვ.მ.-ის, სარდაფის ფართობის - 1178.8 კვ.მ.-ის ნაცვლად - ავტოსადგომის ფართობის 1166,8 კვ.მ.-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის - 277.3 კვ.მ.-ის ნაცვლად - 290,8 კვ.მ.-ის და დამხმარე ფართობის - 252.6 კვ.მ.-ის ნაცვლად - 264,9 კვ.მ.-ის დაფიქსირებას. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882017019886, მომზადების თარიღი: 17/01/2017 17:18:43) თანახმად, N01.12.08.036.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადენს შპს „გალერეა დიდუბე“ (400029697). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B16134661, მომზადების თარიღი: 29/09/2016 17:23:10), შპს „გალერეა დიდუბე“-ს (400029697) დირექტორია იოსებ კენჭაძე. სამსახურში წარმოდგენილია იოსებ კენჭაძის მიერ ზურაბ ნადირაძის სახელზე, 2019 წლის 12 იანვარს გაცემული შესაბამისი მინდობილობა.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ცვლილების შეტანა სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საოფისე ფართობი: 1918.6 კვ.მ, კომერციული ფართობი: 2231.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 290.8 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 264.9 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 1166.8. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას სარდაფის ფართობი: 1178.8.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313938 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge